„ერთი ნაბიჯი ზღვიდან მთამდე!“

ალიონი. გასულ პარასკევს, ოზურგეთში საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, გიორგი ჩოგოვაძე და ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის პროექტი სახელწოდებით „ერთი ნაბიჯი ზღვიდან მთამდე“ მიზნად მუნიციპალიტეტის საკურორტო ზონების პოპულარიზაციას ისახავს.

საინფორმაციო ტური დაბა ურეკიდან დაიწყო, სადაც ანსამბლმა „გურიამ“ „ხორუმით“ მოხიბლა სტუმრები, ხოლო შემდეგ ფოტოგამოფენა დათვალიერეს.

დაბა ურეკიდან კოლონა კურორტ გომისმთაზე გაემგზავრა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სტუმრებს გომისმთის უნიკალური თვისებების შესახებ მოუყვნენ. ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ზენაარმა“ ცეცხლოვანი ცეკვით მოხიბლა სტუმრები.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი გამორჩეულია უნიკალური ლადშაფტით. აქ ზღვასა და მთაში დასვენება ერთდროულად არის შესაძლებელი. დაბა ურეკსა და გომისმთას ერთმანეთისგან 60 კილომეტრი აშორებს. ზღვისპირა კურორტი ურეკი გამორჩეულია მაგნიტური ქვიშებით, რომელიც კურორტს საუკეთესო დასვენებისა და მკურნალობის თვისებებს ანიჭებს. გომისმთა წარმოადგენს საკურორტო ადგილს, რომელსაც გააჩნია მინერალური წყლები, ტყე, სამკურნალო კლიმატი და სხვა ბუნებრივი რესურსები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მკურნალობის, პროფილაკტიკისა და რეაბილიტაციის მიზნით. მისი განუმეორებელი ბუნება და 2500 მეტრ სიმაღლეზე არსებული ჭინჭაოს ტბა დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ტოვებს. კურორტის უნიკალური პირობები დღესაც აუთვისებელია. შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების პირობებში ის დააკმაყოფილებს ტურისტების მოთხოვნებს.

გიორგი ჩოგოვაძე გაზეთ „ალიონს“ ესაუბრა სამთო ტურიზმის პერსპექტივებზე და ტურისტულ-ალპინისტური კლუბების „გურიის მთების“ და „ქორბუდეს“ ისტორიითაც დაინტერესდა. მასპინძელთაგან გომისმთაზე იმყოფებოდნენ გურიის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი ქეთი მოისწრაფეშვილი; ოზურგეთის თემების გამგებელი მარაბ ჭანუყვაძე, ქ. ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე, ოზურგეთის თემების და ქ. ოზურგეთის საკრებულოების თავმჯდომარეები დავით დარჩია, გელა კობალაძე, სხვა სტუმრები.

ამ დღეს გინესის 42-გზის რეკორდსმენმა გოდერძი მახარაძემ 43-ე რეკორდი დაამყარა. მან ბურთი თავით 9 წუთსა 37 წამში 1750-ჯერ აკენწლა.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №19 (10109, 11 მაისი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავი ოზურგეთში ზეიმით აღინიშნა

ალიონი. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთაგან ოზურგეთს, სამწუხაროდ, მხოლოდ 32 ვეტერანი მეომარი შემორჩა, 32 მხცოვანი, ხელიხგულზე სატარებელი ადამიანი.

ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავი აქ, ისევე როგორც ქვეყნის სხვა ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში ზეიმით აღინიშნა. დილის 10 საათისთვის საბრძოლო მელოდიების ფონზე აანთეს მარადიული ცეცხლი, ყვავილების გვირგვინით შეამკეს დიდების მემორიალი.

ომის ვეტერანებს გულთბილად მიესალმნენ გურიის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი ქეთი მოისწრაფეშვილი, ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე, ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, თემთა მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის სახელით, დეპუტატის ბიუროს პრესსამსახურის უფროსი ნინო კუკულაძე.

ომის ვეტერანებმა გიორგი ერქომაიშვილმა, ვახტანგ ჩხარტიშვილმა და სხვებმა გაიხსენეს ბრძოლის ეპიზოდები, მადლობა გადაუხადეს ხელისუფლებას დღევანდელი დღის აღნიშვნისა და ფულადი ჯილდოებისათვის.

11 საათისთვის ცერემონიალმა ოზურგეთის ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო-დრამატულ თეატრში გადაინაცვლა, სადაც ოზურგეთელი ომის ვეტერანების საპატივცემულოდ, ოზურგეთში მოქმედი სამუსიკო გუნდებისა და ქორეოგრაფიული ანსამბლების მონაწილეობით, გაიმართა დიდი საზეიმო კონცერტი.

ტრადიციულად აღინიშნა ეს დღე საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის ორგანიზაციაში, სადაც შეხვედრა მოუწყვეს ომის პედაგოგ ვეტერანებს.

ე. წ. „ექსკლუზივ-სკანდალის“ მიხედვით, ქალაქის მერად რაღა ბეგლარ სიორიძე აგვირჩევია და რაღა მოჰამედ ალი

თემურ მარშანიშვილი

რამდენიმე დღის წინათ, ფეისბუკის საკუთარ გვერდზე გავიზიარე GEWORLD.GE-ს ინფორმაცია „ტაილანდში ჟურნალისტებს ტყუილისთვის დასჯიან“. იცით, რა რეაქცია მოჰყვა? გაზიარებიდან რამდენიმე წუთში ფბ-ს ერთ-ერთი მეგობარმა, თავისი მოკლე კომენტარით, ერთ ქვაბში მოხარშა დღევანდელი ქართული მედიის ჟურნალისტები: „აააუფ, აი კანონი ჩვენთან რომ შემეიღონ, ხომ დავრჩით ჟურნალისტების გარეშე“.

ერთი შეხედვით, მწუთხე კომენტარია, მაგრამ, ტაილანდელი ჟურნალისტებისგან განსხვავებით, მაინც მოსალოცად გვაქვს საქმე, პირველ რიგში, იმიტომ, რომ მსგავს კანონს ამ ჩვენს „დემოკრატიადაკოკრილ“ ქვეყანაში არავინ შემოიღებს (ჯერჯერობით მაინც) და მეორეც, ნამდვილად ეშველა ზოგიერთ დემაგოგიურ მედიასაშუალებას, რომლისთვისაც სიტყვის თავისუფლება სიტყვით აღვირახსნილობასთან და პირად ანგარიშსწორებებთან ასოცირდება.

„გურიის მოამბე“ რომ „ქართულ ოცნებას“, განსაკუთრებით კი ქალაქ ოზურგეთის მერიასა და პირადად მერს, ვარდებს არ უფენს, ეს სადავო თემა ნამდვილად არ არის, მაგრამ 4 მაისის ე. წ. „ექსკლუზივ-სკანდალით“, წერილის ავტორი „დაუკრეფავში“ ნამეტნავად, თანაც ქილიკურად „გავჯეჯილდა“ (როგორც „გურიის მოამბეს“ უთხრეს – „მერს ცოტა წამოარტყეს“) ცილი რომ არ დაგვწამონ, ციტატები კონტექსტიდან ამოგლეჯილიაო, აქვე სრულყოფილად გთავაზობთ ხსენებულ წერილს:

სასწრაფოდ ექსკლუზივი-სკანდალი: ქალაქ ოზურგეთის მერმა თანამშრომლები სასტიკად სცემა-შემდეგ კი დაითხოვა

ავტორი: **გურიის მოამბე**

სასწრაფოდ ექსკლუზივი-სკანდალი: ქალაქ ოზურგეთის მერმა თანამშრომლები ჯერ სასტიკად სცემა-შემდეგ კი სამსახურიდან დაითხოვა

ნაცემია თავად ოზურგეთის მერიც

გავრცელებული ინფორმაციით, ქალაქ ოზურგეთის მერმა, ბეგი სიორიძემ, მერიის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები ემზარ მახარაძე, სულიკო ვასაძე, კახა კვაჭანტირაძე სცემა შემდეგ განცხადებები დააწერინა და სამსახურიდან დაითხოვა.

გავრცელებული და გადამოწმებული ინფორმაციით ნაცემია თავად ქალაქ ოზურგეთის მერიც.

როგორც სანდო წყარო იტყობინება, ინცინდენტი გასული კვირის მიწურულს, ქალაქ ოზურგეთის მერიაში მოხდა, როცა ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები სამუშაო საათების შემდეგ, ერთ ერთ ოთახში, ვახშმობდნენ, რასაც მცირეოდენი ხმაური მოჰყვა.

დაახლოებით 19 საათზე, ხმაურზე, ქალაქის მერი შემოვარდა და უმიზეზოდ ერთ ერთ თანამშრომელს გინება და ცემა დაუწყო.

ჩვენს მიერ გადამოწმებული ინფორმაციით, ეს უკვე ყოფილი თანამშრომელი ამ წუთებში, სახლში, მძიმე მდგომარეობაში იმყოფება.

გაკვირვებულმა რამდენიმე თანამშრომელმა მერს ხელები

გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
ვეფრი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოთხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

საკრებულოს სხდომა ურთიერთბრალდებებით

ალიონი. მიუხედავად იმისა, რომ ქ. ოზურგეთის საკრებულოს 4 მაისის სხდომაზე 6 საკითხი იყო განსახილველი, დეპუტატების, ჟურნალისტების და დამსწრე საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს ბოლო საკითხი იწვევდა, რადგან საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის, გოჩა ძიმისტარაშვილის გადაყენების საკითხი უნდა განეხილათ.

მიუხედავად პოლიტიკური დაპირისპირებებისა, ბოლო ათეული წლის მანძილზე ოზურგეთში ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოში მსგავსი პიროვნული დაპირისპირება არ გვახსენდება. დეპუტატებმა სამი საათი ურთიერთბრალდებებს მოახმარეს.

თავდაპირველად საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძემ დეპუტატების - ნინო გოგუაძის, ნანული ორაგველიძის და ნინო ტაბატაძის განცხადება წაიკითხა, სადაც ისინი გოჩა ძიმისტარაშვილის კომისიის თავმჯდომარეობიდან გადაყენების საკითხს აყენებდნენ.

დეპუტატმა თამარ ნადირიძემ დასვა კითხვა, თუ მიმართა საკრებულომ განცხადებაში მოყვანილი ფაქტების შესასწავლად პროკურატურას? ამის შემდეგ უნდა განეხილა საკრებულოს ძიმისტარაშვილის გადაყენების საკითხი.

–გოჩა ძიმისტარაშვილისთვის არც ერთ სხდომაზე არ შემინიშნავს არაეთიკური საქციელი. ხოლო წინა სხდომაზე ქალაქის მერმა ძიმისტარაშვილს „საკრებულოს სირცხვილი“ უწოდა-თქვა დეპუტატმა ლევან მგელაძემ.

–ძიმისტარაშვილი ნამდვილად არის საკრებულოს სირცხვილი.სირცხვილი და თავის მოჭრა არ არის, დეპუტატი დეპუტატს ფულს სძალავდეს?! ხომ საუბრობს ამის შესახებ ქალბატონი ნანული? ის, რაც დღეს მესმის, არის სირცხვილი–უპასუხა ბეგლარ სიორიძემ.

თავად ძიმისტარაშვილმა აღნიშნა, რომ მისი გადაყენება იქნებოდა უკანონო და საქმის გარემოებიდან გამომდინარე დეპუტატთა ჯგუფის განცხადების ასლი მოითხოვა.

სანამ საკრებულოს წევრებს და ჟურნალისტებს განსახილველი განცხადების ასლებს დაურიგებდნენ გოჩა ძიმისტარაშვილმა და ნანული ორაგველიძემ ერთმანეთი „პოლიტიკური გვამის“ ტიტულით შეამკეს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო გოგუაძემ დასვა კითხვა:–ერთი დეპუტატის მიერ მეორე დეპუტატისათვის ფულის გამოძალვის მცდელობა არის თუ არა მინიმუმ დეპუტატისაგან არაეთიკური საქციელი?

ნანული ორაგველიძემ დაადასტურა, რომ მას და ასევე დეპუტატ ნინო ტაბატაძეს გოჩა ძიმისტარაშვილი ფულს სძალავდა.

ნანული ორაგველიძე:-გოჩა ძიმისტარაშვილი პარტიის წევრების მიმართ იყო აგრესიული. ჩვენს შორის დაძაბული ურთიერთობა მაშინ დაიწყო, როცა მე სრულიად დამოუკიდებლად მივეცი ხმა ბაზარში მიწის იჯარით გაცემას. ის მე მთხოვდა, რომ აზრი შემეცვალა, რაზეც არიან მოწმეები.

თქვენ ასევე ექცეოდით ქალბატონებს ნინო ტაბატაძეს, ირინა საჯაიას. გადადიოდით პირდაპირ შეურაცხყოფებზე. განა გაქვთ ამის უფლება? იძახით, ირინა გაიყიდა, ნინო გაიყიდაო! თქვენ ქალბატონ ნინოს ჩემთან ერთად არ დაავალეთ, რომ ხელფასი ოთხად გაგვეყო და სამი მეოთხედი თქვენთვის მოგვეცა და ერთი მეოთხედი ჩვენთვის დამეტოვებინა? აი, ამის შემდეგ ნახავთ, ვინ არის „პოლიტიკური გვამი.“

ნანული ორაგველიძემ საკრებულოს ეთიკის კოდექსის პროექტიც წაუკითხა დეპუტატებს და დამსწრეებს.

როგორც დეპუტატმა ნათია შარაშენიძემ აღნიშნა, მან იმიტომ დატოვა ფრაქცია რომ თავის დროზე გოჩა ძიმისტარაშვილი აკეთებდა იმას, რაც სურდა მთავრობას.

გოჩა ძიმისტარაშვილმა აღნიშნა:- მინდა მივმართო ნანული ორაგველიძეს: მერე რაა რომ გამრიცხონ. ჩემს მიმართ არის პოლიტიკური დევნა და თქვენ წლების განმავლობაში ირბენთ სასამართლოში ჩემთან ერთად.

გაიმართა ფარული კენჭისყრა. გოჩა ძიმისტარაშვილის კომისიის თავმჯდომარის პოსტიდან გადაყენებას ხმა მისცა 9 დეპუტატმა, 4 წინააღმდეგი იყო, ხოლო ერთი ბიულეტენი – ბათილი.

კომისიის თავმჯდომარედ ირინა საჯაია აირჩიეს.

მომდევნო დღეებში დეპუტატებმა ლევან მგელაძემ, თამარ ნადირიძემ, ნათია შარაშენიძემ ჟურნალისტებთან ბრიფინგი გამართეს, სადაც საკრებულოს სხდომაზე განხილულ საკითხზე დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია.

–აუცილებლად მივმართავთ პროკურატურას, რომ შეისწავლონ აღნიშნული ფაქტი და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება –განაცხადა ლევან მგელაძემ.

„ვთხოვ ოპოზიციონერ კოლეგებს, არ შეწყვიტონ ოპონირება და იყვნენ უფრო აქტიურები “

ალიონი. გასულ ხუთშაბათს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თემების საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, სადაც 9 საკითხი განიხილეს.

თავდაპირველად 2015 წლის ბიუჯეტში და ტექნიკური შეცდომიდ გამო საკრებულოს 2015 წლის 1 აპრილის დადგენილებაში ცვლილებები შეიტანეს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცებისას სოფ. ჭანიეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით მჟავანაძემ თავისი უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა.

–რატომ ჰყიდით სოფ. ჭანიეთში მიწის ფართობს, რომელზეც შენობა დგას, სადაც სოფლის მოსახლეობას სოფლის განვითარების პროგრამის დახმარებით სარიტუალო სახლი უნდა გაეკეთებინა?

– ჩვენ ამას ადგილობრივ ბიუჯეტში თანხების მობილიზაციის მიზნით ვაკეთებთ, რომელიც შემდეგ ისევ ამ სოფლების მოსახლეობის კეთილდღეობას მოხმარდება. ამიტომ კეთდება სოფ. ჭანიეთში ახალი სკოლა, სბავშვო ბაღი–უპასუხა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვერღელიძემ.

–იმდენად უუნარო დარჩა ამჟამინდელი ხელისუფლება, რომ წინა წელს გარემონტებულში წყალი ჩამოდის. სად არის ბიძინა ივანიშვილის მიერ თითოეული სოფლისთვის დაპირებული მილიონები? ისე გაგიჭირდათ, სოფლის სარიტუალო სახლისთვის გათვალისწინებულ შენობას ჰყიდით და ამით გინდათ ააშენოთ სბავშვო ბაღი?–ცხარობდა მჟავანაძე.

–იცი დავით, რას შვრებოდნენ ნაციონალები ხელისუფლებაში ყოფნისას? გურიანთაში ადგილობრივ მოსახლეობას ეუბნებოდნენ: – გააჩერეთ თქვენი სოფლის ოპოზიციონერები და მაშინ გავიყვანთ გაზს და გაგიკეთებთ გზას?–შეახსენა ნაც. მოძრაობის ამჟამინდელ ადგილობრივ ლიდერს დეპუტატმა ბონდო ღლონტმა.

– როგორც ჩანს დათოს „რუსთავი-2“-ის გუშინდელი გადაცემის (პოლიტიკური თოქ-შოუ „არჩევანის“ 5 მაისის გადაცემა) ეიფორია აქვს გამოყოლილი? – თქვა საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ.

საკრებულოს სხდომაზე სიტყვა ჟურნალისტმა მარინა ჩიხლაძემ ითხოვა. მან განმარტა, რომ ჩაის პუნქტის ყოფილი შენობა არის ამორტიზებული, დაბალჭერიანი, არ გამოდგება სარიტუალო დარბაზისათვის და ასეთი დარბაზი შეიძლება სოფლის მოსახლეობამ სხვა ფორმით მოაწყოსო.

საკრებულომ სოფლის 2015 წლის პროექტებიც განიხილა. ამ ეტაპზე 16 სოფლის პროექტი იყო წარმოდგენილი.

სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება ფრაქცია „ეროვნული ფორუმის“ გაუქმების შესახებ. ამის მიზეზი ის გახდა, რომ ამ ფრაქციის სამი წევრიდან ერთ-ერთს-ზაზა გობრონიძეს (ფრაქციის თავმჯდომარე) საკუთარი განცხადების საფუძველზე 22 აპრილს ვადამდე შეუწყდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

საკრებულომ სხვა საკითხებიც განიხილა.

სხდომის შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი კვეღელიძემ, სხდომაზე დეპუტატ დავით მჟავანაძის გამოსვლასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა:

დიმიტრი კვერღელიძე: – *ამ საკრებულოს მოწვევის პირველივე დღიდან ვთხოვ ოპოზიციონერ კოლეგებს, არ შეწყვიტონ ოპონირება და იყვნენ უფრო აქტიურები, როგორც საკრებულოს, ასევე ბიუროს სხდომებზე და საკრებულოს მიერ წარმოდგენილ ყველა იმ ფორმატში , სადაც დებატები დასაშვებია.*

თუმცა ოპონირება უნდა იყოს კვალიფიციური, ზნეობის და მორალის ჩარჩოებში მოქცეული და ემსახურებოდეს ერთ მიზანს, ყველა ინიციატივა დადებითად აისახოს ჩვენი ამომრჩევლის უკეთეს მომავალზე.

მე მომხრე ვარ ჯანსაღი ოპონირების, კრიტიკის, კონსტრუქციული დიალოგის, რადგან სწორედ ასეთი მიდგომებით მიიღება სწორი გადაწყვეტილებები.

რაც შეეხება ჭანიეთის დეპუტატის, დავით მჟავანაძის დღევანდელ განცხადებას საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების თაობაზე: ვურჩევ, ვიდრე მის მიერ არაკომპეტენტურად დაყენებულ პრეტენზიებსა თუ წინადადებებს დაიჟინებდეს, ჯერ თავადვე გაერკვას საკითხში, ნუ ცდილობს მსგავსი მეთოდით სხვაც შეიყვანოს შეცდომაში. ჩვენ ყველა ქონებას გავყიდით მხოლოდ აუქციონის წესით, იმ ერთადერთი მიზნით, რომ შეივსოს ადგილობრივი ბიუჯეტი, საიდანაც თანხები მიემართება სხვადასხვა სოფლებში პრობლემათა მოსაგვარებლად, მათ შორის ჭანიეთშიც. მაგალითისთვის: ჩვენ დღეს მხარი დავუჭირეთ ბიუჯეტში ცვლილებას, რომლის საფუძვლზეც ჭანიეთში ადმინისტრაციული შენობა გადაიხურება, სხვა სოფლებში კი სხვადასხვა ღონისძიებები გატარდება. აი ასეთ საკითხებზე უნდა ვმსჯელობდეთ და არა აჟიოტაჟს ვტეხდეთ არაფრის გამო.

ე. წ. „ექსკლუზივ-სკანდალის“ მიხედვით, ქალაქის მერად რალა ბეგლარ სიორიძე აგვირჩევია და რალა მოჰამედ ალი

დაუკავა, თუმცა მერმა მისი ცემა თავით განაგრძო, შესაბამისად მწოლიარე თანამშრომელს სახის არე აქვს დაზიანებული.

დანარჩენი ორი თანამშრომლის განთავისუფლება კი იმან გამოიწვია, რომ ისინი მერის დაშოშმინებას ცდილობდნენ და ამ დროს მერსაც რამდენიმეჯერ მოხვდა მუშტი თავის არეში.

როგორც გურიის მოამბეს" უთხრეს- "მერს ცოტა წამოარტყეს"

"გურიის მოამბე" ამ თემაზე კახა კვაჭანტირაძეს დაუკავშირდა, თუმცა მან კომენტარზე უარი განაცხადა, მომხდარი არც უარყო და არც დაადასტურა და განაცხადა, რომ ის, მისი სამსახურიდან წამოსვლაზე განცხადების რამდენიმე წუთში გააკეთებს.

ამ წუთებში "გურიის მოამბე" ემზარი მახარაძესთან დაკავშირებას ცდილობს.

"გურიის მოამბე" კომენტარისათვის ოზურგეთის მერიას დაუკავშირდა:

"ვადასტურებთ, რომ ზედამხედველობის სამსახურის სამმა თანამშრომელმა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა თანამდებობა."- გვითხრეს პრესსამსახურში.

ოფიციალურად გათავისუფლების მიზეზებზე კი მერია არ საუბრობს".

მოკლედ, „გურიის მოამბის“ შეხედულებით, ოზურგეთელებს ქალაქის მერად რაღა ბეგლარ სიორიძე აგვირჩევია და რაღა მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივე მოჰამედ ალი. ამ ე. წ. „ექსკლუზივ-სკანდალის“ მიხედვით, ქალაქის მერი ბეგლარ სიორიძე თავისი ხელწერით საოცრად ჰგავს თავის დროზე მსოფლიოს №1 მოკრივეს მოჰამედ ალის,; თუ მერმა 5 მაისს ქალაქის მერიაში სამი თანამშრომელი ერთმანეთზე დაწყო, მოჰამედ ალიმ, რომელსაც მოსკოვის ოლიმპიადამდე რამდენიმე თვით ადრე, დუშამბეში რინგზე თანმიმდევრობით სამი რუსი მოკრივე გამოუყვანეს, თითო-რაუნდიან საჩვენებელ ორთაბრძოლებში სამივე გვარიანად მიბეგვა.

4 მაისის ე. წ. „ექსკლუზივ-სკანდალს“, 5 მაისს ქალაქის მერის პრესკონფერენცია მოჰყვა:

„მინდა, მადლობა გითხრათ მობრძანებისთვის და ერთ რამეზე შევაჩერო თქვენი ყურადღება, „გურიის მოამბე“ და მისი გამომცემელი, ბატონი ლადო მენაბდე, სისტემატურად ავრცელებენ ცრუ ინფორმაციებს ქალაქის მერიისა და მერის საქმიანობის შესახებ. სამწუხაროდ, კანონმდებლობა ასეთ დროს ითვალისწინებს მხოლოდ იმას, რომ ცილისწამების ფაქტის დადგენის შემთხვევაში, სასამართლო ცილისმწამებელს ბოდიშის მოხდას დააკისრებს, მაგრამ ბატონი ვლადიმერი ისეთნაირად იქცევა, მისგან ბოდიშის მოხდაც არ მოგინდება კაცს. ამიტომ არ მივმართავ სასამართლოს. უბრალოდ მინდა, გულწრფელად გითხრათ, რასთან გვაქვს საქმე. ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ ჩემს განცხადებას გაგაცნობთ და მერე ნებისმიერ კითხვაზე გიპასუხებთ, — აღნიშნა თავის გამოსვლაში ბეგლარ სიორიძემ.

ქალაქის მერის განცხადებაში ვკითხულობთ:

„გუშინ გაზეთ ‘„გურიის მოამბის“ ვებ-გვერდზე გავრცელდა ინფორმაცია, რომელიც ქალაქ ოზურგეთის მერიის ზედამხედველობის სამსახურიდან სამი თანამშრომლის გათავისუფლებას უკავშირდებოდა. სტატიის მიხედვით, ქალაქის მერმა თანამშრომლებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და შემდეგ სამსახურიდან დაითხოვა. გაზეთმა აღნიშნული დეზინფორმაცია გადამოწმების გარეშე საინფორმაციო საშუალებებით, კერძოდ, სამაუწყებლო კომპანია “რუსთავი-2”-ით გაავრცელა. “გურიის მოამბემ“ მერიის პრესსამსახურში მხოლოდ თანამშრომლების დათხოვნის ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით დასვა კითხვები, ხოლო სტატიაში მოყვანილ არც ერთ ფაქტთან დაკავშირებით მას პრესსამსახურისთვის არ მოუმართავს.

ხსენებული გაზეთის მხრიდან მსგავსი სიცრუის ტირაჟირება პირველი შემთხვევა არ გახლავთ. “გურიის მოამბე“ სისტემატურად ავრცელებს მსგავსი ტიპის აბსურდულ, რეალობას მოკლებულ ინფორმაციებს და ამ ფორმით გამუდმებით ცდილობს მერისა და მერიის დისკრედიტაციას. გაზეთი ემსახურება არა სიმართლესა და სამართლიანობას, არამედ ბოროტად იყენებს ჟურნალისტური სტანდარტებით მისთვის მინიჭებულ უფლებას და “სამართლიანობის“ სახელით გამუდმებით ტყუის. “გურიის მოამბე“, ასევე, უარს აცხადებს საპასუხო წერილების გამოქვეყნებაზე და საფასურად 500 ლარს ითხოვს. ასეთი მიდგომა გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ გაზეთი შეგნებულად ავრცელებს გადაუმოწმებელ ინფორმაციებს, რათა გამოიწვიოს მერის საპასუხო რეაქცია და ამით მატერიალური სარგებელი მიიღოს.

მართალია, კონსტიტუციითა და სხვა კანონებით გარანტირებულია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, მაგრამ ამ უფლების რეალიზაციისას ფიზიკურ კანონმდებლობა ითვალისწინებს გარკვეული სახის შეზღუდვებს. „გურიის მოამბე“ ნებისმიერ ფაქტს, რომელიც მერისა და მერიის მხრიდან გახლავთ ინიცირებული, უარყოფითი კონტექსტით ავრცელებს. ის ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ბრალს სდებს მერს ტრეფიკინგში, თანამშრომლების მიმართ მონურ მოპყრობასა და სხვადასხვა ტიპის აფიორაში.

გაზეთის მიერ გავრცელებული ინფორმაციების უმრავლესობა არის ცილისმწამებლური, რაც სცდება ჟურნალისტური საქმიანობისა და ჟურნალისტური ეთიკის ნორმებს.

მრჩება შთაბეჭდილება, რომ ხსენებული გაზეთი წარმოადგენს მხარეს და მოვუწოდებ ყველა კომპეტენტურ არასამთავრობო ორგანიზაციას, ასევე, ჟურნალისტური ეთიკის სბჭოს, რათა მოახდინონ შესაბამისი რეაგირება.

ქალაქის მერია საქმიანობს კანონის ფარგლებში, აბსოლუტურად გამჭვირვალედ და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია კანონით დადგენილი გამონაკლისის გარდა, მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია მერისა და ქალაქის მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ“.

ქალაქის მერის თქმით, „გურიის მოამბის“ ეს „ექსკლუზივ-სკანდალი“ ყოველგვარ ზღვარს გაცდა:

„ეს ინფორმაცია ყოველგვარ ზღვარს გაცდა, ეს არის აბსურდი, ტყუილი, მსგავსი არაფერი მომხდარა და არც შეიძლება მომხდარიყო..სამივე ადამიანი, საღ-სალამათია, სამივეს ტელეფონის ნომრებს მოგცემთ და დაუკავშირდით, ან შეგიძლიათ იხილოთ ტელეკომპანია „მაესტროს“ მიერ გადაცემული სიუჟეტი, სადაც ეს ადამიანები ამბობენ, რაც რეალურად მოხდა.

გიორგი გირკელიძე, „გურია ნიუსი“: — რას გვეტყვით ლადო მენაბდისა და კახა კვაჭანტირაძის საუბარზე, რომლის აუდიოჩანაწერი დღეს გაავრცელა „გურიის მოამბემ“? კვაჭანტირაძე ჩვენაც ჩავწერეთ გუშინ და მან თქვა, რომ მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონია, მაგრამ დღეს გავრცელებულ აუდიოჩანაწერში ამბობს, რომ ნაცემია, ცემა ვასაძემ და ასევე ჩაერიეთ თქვენ.

ბეგლარ სიორიძე: სად ამბობს, რომ ბეგი სიორიძე ჩაერია ჩხუბში?

გიორგი გირკელიძე, — აუდიოჩანაწერს ვგულისხმობ.

ბეგლარ სიორიძე: — არსად არ ამბობს მაგას. ხმაურის შემდეგ ამოვიდა ქალაქის მერი და ამის შემდეგაც მომიქნია ხელიო, არც ბეგი სიორიძეს ამბობს, არც ჯანო ვასაძეს, მხედველობაში ჰყავს ჯანო ვასაძე. შეგიძლიათ, შეხვდეთ და ჩაწეროთ. მანამდე, თუ გნებავთ, ერთად მოვუსმინოთ ამ აუდიოჩანაწერს.

აუდიოჩანაწერში კვაჭანტირაძე კონკრეტულად მართლაც არსად ამბობს, რომ ის ბეგი სიორიძემ სცემა. ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, თუ აუდიოჩანაწერში კვაჭანტირაძე ქალაქის მერს არაკაცს უწოდებს, მაშინ მას არც ამის თქმა გაუჭირდებოდა.

თემურ მარშანიშვილი, „ალიონი“: — თქვენ ბრძანეთ, რომ „გურიის მოამბე“ 500 ლარს ითხოვს საპასუხო წერილის გამოქვეყნებაში. პრესკონფერენციას საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის იურისტი ირაკლი პაპავა ესწრება. ამიტომ შეკითხვა თქვენთან კი არა, ბატონ ირაკლისთან მექნება, როგორც ამ საკითხში აქ დამსწრეთაგან ყველაზე კომპეტენტურ პირთან — რამდენად სამართლიანია რედაქციიდან საპასუხო წერილში 500 ლარის მოთხოვნა?

ირაკლი პაპავა: — ეს თვითონ რედაქციის პოლიტიკაზეა დამოკიდებული. წესით და რიგით, თუ ის აქვეყნებს ცალმხრივად რაიმეს, მაშინ მეორე მხარის პოზიციაც უნდა ჩანდეს.

ბეგი სიორიძე: — ბაზარში ჩვენ წამოწყებული გვაქვს სამუშაოები და იმას ეხებოდა ეს. მალე დაინახავთ, იქ რა სახის სამუშაოები ჩატარდება, შესვლა აღარ შეგეზარებათ. ამ სამუშაოებს ქალაქის მერიის ერთ-ერთი ა(ა)იპ-ი, კერძოდ, სერვისცენტრი ასრულებს, მისი თანამშრომლები ასუფთავებენ ტერიტორიას, რაშიც იღებენ ხელფასს.

ამაზე „გურიის მოამბემ“ გამოაქვეყნა წერილი, რომ თურმე აწი რამდენი ვინმე ტენდერში მოიგებს, ოჯარით ფართს აიღებს თუ აუქციონზე რაღაცას შეიძენს, ყველაფერი ქალაქის მერის და ბიზნესმენ გოჩა სალუქვაძის ინტერესშია.

მე არ მჭირდება არც გოჩა სალუქვაძის და არც რომელიმე სხვა ადამიანის მიწის ნაკვეთი, არც ერთი კვადრატული მეტრი ფართი, არც ერთი თეთრი, იმიტომ, რომ მყოფნის საკუთარი. ჩემი ინტერესია, როგორმე მოვიზიდო ინვესტორი, ოზურგეთელი იქნება ის, ზუგდიდელი თუ ქუთაისელი, რათა ჩვენს ქალაქში გაკეთდეს რამე. გუშინწინ, მაგალითად, ბატონ თემურ ჭყონიას შევხვდი და ვთხოვე, ოზურგეთში გააკეთოს „მაკდონალდსი“, ასევე შევხვდი გელა არობელიძეს, რათა „ნიკორამ“ ჩვენს ქალაქში ააშენოს დიდი სუპერმარკეტი. ანალოგიური მიზნების განსახორციელებლად ვხვდები თხილის თუ ჩაის ბიზნესში დაკავებულ ადამიანებს. ეს არის ჩემი ინტერესი და არა ის, რასაც „გურიის მოამბე“ წერს.

სხვათა შორის, გოჩა სალუქვაძისთვის ოჯარით გამოყოფილი ფართი ბაზარში არის სულ სხვა ადგილას და ის შეხებაში არაა იმასთან, რაც დღეს

ბაზარში ხდება. მენაბდის წერილის მიხედვით კი, თურმე მე, ქალაქის მერი, ბიუჯეტის ხარჯით, ჩემი თანამშრომლებით ვაწარმოებ გოჩა სალუქვაძის მიერ ოჯარით აღებულ ფართზე რაღაც სამუშაოებს. აი, ამ საპასუხო წერილის გამოქვეყნებაში „გურიის მოამბემ“ 500 ლარი მოითხოვა. გადაიხადეთ 500 ლარი და დაგიბეჭდავთო. რამდენად ჯდება ეს ყოველივე ეთიკურ ნორმებში, თქვენ თვითონ განსაჯეთ.

არავის კომერციულ საქმიანობაში არ ვერევით, მაგრამ, გაზეთის მეორე გვერდზე განთავსებული ფასიანი მომსახურების ტარიფის გათვალისწინებით, ნახევარი კომპიუტერული გვერდის მოცულობის მასალის გამოქვეყნებაში 500 ლარის მოთხოვნა, რბილად რომ ვთქვათ, ნამეტანია!

დავუბრუნდეთ ე. წ. „ექსკლუზივ-სკანდალის“ თემას. ჩვენთან სატელეფონო საუბარში ქალაქის მერიის ზედამხედველობის სამსახურის აწ უკვე ყოფილი თანამშრომლები აცხადებენ, რომ „გურიის მოამბის“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია ქალაქის მერის მხრიდან მათი გატყეპვის შესახებ, არ შეესაბამება სიმართლეს:

ემზარ მახარაძე: ამ საკითხზე „მაესტროომ“ ჩამწერა, პოლიციისთვისაც მომიხდა ჩვენების მიცემა და, მართალი გითხრათ, ცოტა გაღიზიანებული ვარ. ეს სისულელეები აგორებული ჭორია, შემიძლია ხატზე დავიფიცო, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა. როგორ გითხრათ, სპორტულ თემაზე ორ პიროვნებას შორის გამართული დიალოგი ხმამაღალ კამათში გადაიზარდა, შესაძლებელია, უფრო გამწვავებულიყო კიდეც. მოუსწრო ქალაქის მერმა და სიტუაცია დაარეგულირა. მოგეხსენებათ, ასეთ საქმეს მოსდევს ხანდახან ხმამაღალი. კარგით, რა! რომელ ფიზიკურ შეურაცხყოფაზე მელაპარაკებით, არავისთვის წაკარება. რაც შეეხება სამსახურიდან გათავისუფლებას, ვინც მიცნობს კარგად იცის, რომ გადაწყვეტილებას იძულებით ვერავინ მიმაღებინებს. არ ყოფილა ასეთი და როგორ ვთქვა. თვითონვე დავწერე განცხადება.

სულიკო ვასაძე: ქალაქის მერთან არანაირი კონფლიქტი არ მქონია. თანამშრომელთან მომივიდა ხმამაღალი სიტყვიერი შელაპარაკება, მაგრამ ფიზიკურად არ შევხებივართ ერთმანეთს. ცოტათი ნასვამი ვიყავით, მოგვისწრო მერმა და მოიქცა ისე, როგორც, ალბათ, ყველა უფროსი მოიქცეოდა, სულ ეგ იყო. არ ვიყავით მართალი და სამსახურიდან წამოვედი. ვიმეორებ, მერთან არანაირი სხვა კონფლიქტი არ მქონია არც იმ დღეს და არც გუშინწინ, როცა შემთხვევით შევხვდი, ჩვეულებრივად მივესალმეთ ერთმანეთს.

კახაბერ კვაჭანტირაძე: კი, სიტყვიერი კამათი მომივიდა თანამშრომელთან, ძალიან გავცხარდით, ხმამაღალზე ქალაქის მერმა შემოგვისწრო და მკაცრად მოგვიწოდა წესრიგისაკენ. იქვე მოვიხადე ბოდიში, რადგან მართალი არ ვიყავით, სამსახურში ასეთი რამ ნამდვილად არ უნდა ხდებოდეს. შემდეგ რაც მოხდა, ეს ყველაფერი პროვოკაცია იყო ბატონი ლადო მენაბდის მხრიდან.

— რომელ პროვოკაციაზე საუბრობთ, როცა აუდიოჩანაწერიდან ჩანს, რომ თქვენ თვითონ დაურეკეთ „გურიის მოამბის“ გამომცემელს?

— სწორედ ეს იყო პროვოკაცია. ფეისბუკზე ტელეფონის ნომერი შემომიგდო, მომწერა, აუცილებლად დამირეკე ან მნახეო. ახლა თანხა არ მაქვს, თორემ ნამდვილად ვუჩივლებდი, რადგან ჩემი ნებართვის გარეშე, მალულად ჩაიწერა საუბარი, მერე ასევე უნებართოდ გამოაქვეყნა იგი, რაც, რამდენადაც ვიცი, სისხლის სამართლის დანაშაულია.

— თქვენ თქვით, რომ ბოდიში მოიხადეთ, რადგან მართალი არ იყავით. მაშინ აუდიოჩანაწერში რატომ უწოდეთ ქალაქის მერს არაკაცი?

— ემოციისა და ნერვიულობის გამო მოხდა ეს ყველაფერი. სამსახურიდან წამოვედი და გაბრაზებული ვიყავი...

არ ვაპირებთ, არაფრის მტკიცებას, ალბათ, ასე იყო ეს ყველაფერი, თორემ ვერც მერისგან „სასტიკად ნაცემი“ უკვე ყოფილი თანამშრომლები და ვერც ყოფილი თანამშრომლებისგან „ცოტა წამორტყმული“ მერი ასეთ მოკლე დროში ვერ მოიშუშებდნენ იარებს.

და ბოლოს, სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს. ყველა ხედავს, ყველამ იცის, რისთვის ებრძვის ასე გაგეშებით „გურიის მოამბე“ ზოგადად „ქართულ ოცნებას“, კონკრეტულად ქალაქის მერიას და კიდევ უფრო კონკრეტულად — ქალაქის მერს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „გურიის მოამბის“ გამომცემელი გუშინდელი სახელისუფლებო, დღეს კი მესაბოტაჟე პარტიის — „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი იდეოლოგიური იარაღის, „რუსთავი-2-ის“ კორესპონდენტია, აღარავის უნდა უკვირდეს ამ გაზეთის მისია და დანიშნულება. თამამად შეიძლება იმის თქმაც, რომ ოზურგეთში, გაბრიელ ეპისკოპოსის №3-ში „გურიის მოამბის“ რედაქცია კი არა, ფაქტობრივად „რუსთავი-2-ის“ ფილიალია. დასტურად, ალბათ, ისიც კმარა, რომ ამ სამაუწყებლო კომპანიისთვის სიუჟეტების მოსამზადებლად ჩაწერებს ხშირად ვლადიმერ მენაბდე კი არა, „გურიის მოამბის“ თანამშრომლები ახორციელებენ.

მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ

2 მაისს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ და ასოციაცია „კავკასიის გენეტიკის" დირექტორმა თამარ ყაჭაშვილმა ხელი მოაწერეს მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ. ცერემონიალს ესწრებოდნენ მეცხოველეობის დარგის სპეციალისტები, ფერმერები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მედიასაშუალებები. „კავკასიის გენეტიკაში" მიმდინარე მოვლენების პრეზენტაციაზე, ახალ გამოწვევებსა და სამომავლო ხედვებზე ისაუბრა ასოციაციის მარკეტინგისა და პიარის მენეჯერმა სანდრო საყვარელიძემ.

ვაზებსა და ხელოვნურ განაყოფიერებაზე (ძროხა), ღორების ხელოვნური განაყოფიერების აუცილებლობაზე ისაუბრა გენერალურმა მენეჯერმა დიმიტრი კვირიკაშვილმა. მისი თქმით, ხელოვნური განაყოფიერება მეცხოველეობის განვითარებაში განსაკუთრებით პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც პრაქტიკაში დაინერგა ღრმად გაყინული სპერმის გამოყენება. ხელოვნური განაყოფიერების დანერგვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანერგვა ღორებში, სადაც ხელოვნური დათესვლის პროცენტი უტოლდება ბუნებრივად განაყოფიერების პროცენტს. ამასთან, სანდო გენეტიკითა და ინოვაციური ტექნოლოგიებით შესაძლებელია ღორებისათვის აფრიკული და კლასიკური ჭირის თავიდან არიდება, ვაზების გაუმჯობესება.

კავკასიის გენეტიკის წარმომადგენლებმა შესაბამისი ბროშურები და სარეკლამო ფურცლები დაურუგეს შეხვედრის მონაწილეებს.

სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ა(ა)იპ-ი „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრის" სპეციალისტს მეცხოველეობის დარგში თამაზ კილაძეს ხელოვნური განაყოფიერების დანერგვაში წარმატებული საქმიანობისთვის.

ლეიბორისტებმა თემების მუნიციპალიტეტის წინ აქცია გამართეს

ალიონი. 5 მაისს, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის გურიის ორგანიზაციამ ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტის წინ საპროტესტო აქცია გამართეს. როგორც აცხადებდნენ, ისინი თემების მუნიციპალიტეტის გამგებლის, მერაბ ჭანუყვაძის კაბინეტში მათი პარტიის გურიის რეგიონული საბჭოს წევრის, ოზურგეთის საკრებულოს დეპუტატ ნათია შარაშენიძის მიმართ განხორციელებულ სიტყვიერ შეურაცხყოფას აპროტესტებდნენ.

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის გურიის რეგიონული ორგანიზაციის მთავარი საბჭოს წევრმა დავით მამალაძემ აღნიშნა, რომ ნათია შარაშენიძე ლაითურელი მოქალაქეების საკითხის გასარკვევად იყო შესული ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტში. მერაბ ჭანუყვაძის კაბინეტში, გამგებლის თანდასწრებით ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის სავარო მოხელემ, გია მამაკაშვილმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

აქციაზე სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს ლეიბორისტული პარტიის გურიის რეგიონული ორგანიზაციის მთავარი საბჭოს წევრები ნათია შარაშენიძე, მირზა ჩხიკვიშვილი, ლეიბორისტული პარტიის ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი სამსონ გუგავა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თემების საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი გია მამაკაშვილი ნათია შარაშენიძეზე სიტყვიერი შეურაცყოფის ფაქტს უარყოფს.

გურიაში პირველად შშმ პირებს შორის ჩემპიონატი ჩატარდა

მარი კოკოევი

პირველად გურიის ისტორიაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შორის სპორტული შეჯიბრი გაიმართა. მასში მონაწილეობა ოზურგეთის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის შშმ პირებმა მიიღეს. ჩემპიონატი სპორტის ოთხ სახეობას — ჭადრაკს, შაშს, ნარდსა და მკლავჭიდს მოიცავდა. გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო შედეგი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გუნდმა მოიპოვა. გამარჯვებულ გუნდს დავით ჟღენტის სახელობის გარდამავალი თასი გურიის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა ქეთევან მოისწრაფეშვილმა და რომან ლომაძემ (ასოციაცია „გურიას" ხელმძღვანელი) გადასცეს.

ჭადრაკში პირველი ადგილი ოზურგეთელმა ვოვა ტაკიძემ დისაკუთრა, ნარდში გამარჯვებული ასევე ოზურგეთელი ავთო გოთუა გახდა. შაშში პირველი ადგილი თამარ ლურსმანაშვილს ერგო. მკლავჭიდში პირველი ადგილი გია მელუამ დაიკავა.

ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომლებმაც გამარჯვებულებს საჩუქრები გადასცეს. საჩუქრები ჰქონდათ დაწესებული ბიზნესმენებს, კერძო მეწარმეებსა და სხვადასხვა კომპნიებს. ჩემპიონატი ქალაქ ოზურგეთის სპორტის სასახლეში, საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას" ეგიდით ჩატარდა. ღონისძიებას ა(ა)იპ კულტურის სპორტის და ტურიზმის განვითარების ცენტრის დირექტორი ავთანდილ სირბილაშვილი უძღვებოდა.

„ლიხს აქეთა პოეზია" – ქართული ლექსის ზეიმი ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

„ალიონი". შეიძლება ვცდებოდეთ, მაგრამ ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკას პოეზიის თემაზე ასეთი მასშტაბური ღონისძიება არასოდეს ჩაუტარებია. „ლიხს აქეთა პოეზია" — ასე ერქვა 7 მაისს აქ გამართულ პოეზიის საღამოს, რომელშიც გურიის, ოზურგეთისა და სამეგრელოს რეგიონებში მოღვაწე პოეტები მონაწილეობდნენ.

„დღევანდელი ღონისძიების იდეა ჩემს ქუთაისელ კოლეგას ლალი კაპანაძეს ეკუთვნის. მან შემომთავაზა ქუთაისელი პოეტების ჩამოყვანა ოზურგეთში, თუმცა, როცა საბიბლიოთეკო კვირეულის დასკვნითი საღამოს ღონისძიებაზე ვფიქრობდი, გადავწყვიტე, განმეკარცო ეს იდეა და სხვა რეგიონებიც ჩამერთო მასში. მოხდა ისე რომ, ობიექტური მიზეზების გამო, სწორედ ქუთაისელი პოეტები ვერ მონაწილეობენ დღევანდელ საღამოში",— თქვა შეხვედრაზე ოზურგეთის ცენტრალური ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ლიკა ბაქანიძემ.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ბათუმიდან — მაყვალა დავლაძე, ვაბა გორგილაძე, ინგა გოგუაძე, ინგა გოგიბერიძე და რუსუდან სალუქვაძე; ზუგდიდიდან — გია ვაჭონაია, ნიკა ლაშხია, მანანა გვარამია; ჩოხატაურიდან — თიკო კოტრიკაძე, რევაზ ცინცაძე, მარიამ გიორგაძე, მაია მელუა და ია ტაკიძე; ლანჩხუთიდან — მაგული კვაჭაძე, ვალერ დობორჯგინიძე, დარეჯან ბიწაძე; ოზურგეთიდან — თემურ მარშანიშვილი, ომარ ბაკურაძე და მერაბ ზაქარიაძე.

ამ პოეტებთან ერთად, ქართული ლექსის ზეიმში ამერიკიდან პირდაპირ ჩაერთო ემიგრანტი პოეტი, წარმოშობით ჩოხატაურის სოფელ გორაბერეჟოულიდან, ქალბატონი ნანა მეფარიშვილი.

ლიკა ბაქანიძის თქმით, მომავალ ასეთ ღონისძიებებს სხვა პოეტებიც შეუერთდებიან.

სტუმარ-მასპინძლებს გარკვეული დროით ერთგვარი დისკომფორტი შეექმნათ იმის გამო, რომ ღონისძიებაზე ბოლომდე ვერ დარჩნენ რეგიონის და ქალაქის ხელისუფლების წარმოადგენლები.

ოზურგეთში №6 საბავშვო ბაღი გაიხსნა

ქეთი ბოლქვაძე

ალიონი. 5 მაისს ქალაქ ოზურგეთში №6 საბავშვო ბაღის გახსნას გურიის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი, ქეთევან მოისწრაფეშვილი, ქალაქის მერი ბეგი სიორიძე, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გელა კობალაძე, საალმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელი ეკა ნინიძე და სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები დაესწრნენ. აღნიშნული საალმზრდელო დაწესებულება 2014 წელს, რეგიონული განვითარების ფონდიდან გადმორიცხული თანხით კაპიტალურად გარემონტდა და თანამედროვე ინვენტარით აღიჭურვა. მთლიანად ბაღის რეაბილიტაციაზე 151 214 ლარი დაიხარჯა. საბავშვო ბაღი 60 აღსაზრდელზეა გათვლილი და საალმზრდელო ცენტრში 20-მდე პერსონალია დასაქმებული.

განცხადებები

იყიდება ქალაქ ოზურგეთში გრიბოედოვის ქუჩა № 21-ში სამოთახიანი ბინა (84 კვ. მ) №1.
ფასი 15 000 დოლარი.
ტელ. 599 58 75 32

იყიდება ყველაზე კეთილმოწყობილი სახლი ოზურგეთში.
ტელ. 593 956183.

იყიდება 65 კვ.მ ფართი ოზურგეთში.
ტელ. 593 956183.

იყიდება: 100-კილოვატიანი ელექტროტრანსფორმატორი თავისი კარადით; ავტომანქანა გაზ-69 (ვილისი 4-კარიანი) ჩამოსამბელით, გაზის აპარატურით, კარგ მდგომარეობაში; 5 და 10-ტონიანი რეზერვუარები, შესადულებელი აპარატი ქარხნული, 4-ბორბლიანი.
ტელ. 599 74 04 12; 599 17 54 45

წულაძის ქუჩა №10. შპს „სერვისი" 2006 აწარმოებს ყველა სახის სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებს, მაღალი ხარისხით, კვალიფიციური სპეციალისტებით,(მშენებელი, სანტექნიკოსი, ელექტრიკოსი, მღებავი,). ასევე აკეთებს სადეზინფექციო ყველა სახის სამუშაოს, კოლოზე, ბაზებზე, ქვეწარმავლებზე, მღრნელებსა და სხვა მავნებლებზე, სამუშაოებს ჩაგიტარებთ კვალიფიციურად და ხარისხიანად, გარანტიით, კმაყოფილი დარჩებით, ანაზღაურება მოხდება გადარიცხვით და ნაღდი ანგარიშით, ხელშეკრულებით.
მისამართი, ოზურგეთი, წულაძის ქუჩა №10. მობილური ტელ. 599 74 04 12; 599 17 54 45.

მხატვართა რეგიონულ გამოფენაზე

ალიონი. გასულ პარასკევს, ოზურგეთის სახვითი ხელოვნების ცენტრ-სურათების გალერეაში რეგიონის მხატვართა გამოფენა გაიხსნა. გამოფენის ორგანიზატორი გურიის მხატვართა ორგანიზაციაა.

როგორც გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე თამაზ დარჩიამ გამოფენის გახსნაზე აღნიშნა, ოზურგეთის ჰყავს წინაპართა დიდი თაობა, რომლებიც ამ ქალაქის სიამაყეა. ესენი იყვნენ მხატვრები: დიმიტრი შევარდნაძე, შალვა ქიქოძე, მოსე თოიძე, ანტონ გოგიაშვილი, ივანე გუგუნავა, შალვა ძნელაძე; თეატრის მხატვრები: ლადო მალაზონია, შოთა დარჩია; ოთარ ჩხარტიშვილი, გერონტი ღლონტი.

დღეს ოზურგეთს ჰყავს ცნობილი მოქანდაკე და მხატვარი ელგუჯა ბერძენიშვილი, ნოდარ და მამია მალაზონიები....

გამოფენის გახსნაზე სიტყვებით გამოვიდნენ: ხელოვნებათმცოდნე ლია ურუშაძე, მხატვრები ვახტანგ მამეიშვილი, ავთანდილ თავართქილაძე, მზია კვინტრაძე; ქ. ოზურგეთის მერი ბეგი სიორიძე, კულტურის სამსახურის უფროსი მარინა ჯაფარიძე.

გამოფენაზე თავიანთი ნამუშევრები აქვთ წარმოდგენილი ისეთ პროფესიონალ მხატვრებს, როგორიცაა რევაზ ჯაში, ვატანგ მამეიშვილი, ავთანდილ თავართქილაძე, მზია კვინტრაძე, ნატო ყალიჩავა, მირანდა ვანიძე, თამაზ და გია დარჩიები, გია გვიჩია, თემურ ბერძენიშვილი, ბიძინა ჭეჭხოძე, გიორგი მკოიანი, ნინო კეჭაყმაძე და ახალგაზრდა თაობის არაერთი წარმომადგენელი.

ამ გამოფენაზე შედგა ახალგაზრდა მხატვრის ბექა ხინთიბიძის დებიუტი.

ნოდარი, ნანი, ვენერა გაგუები თანაგრძნობას უცხადებენ გიზო, ქაია, ნანა, ზაზა, ემზარ და ია ღლონტებს მამისა და მამამთილის, **გენო ღლონტის** გარდაცვალების გამო.

ოზურგეთი მეორე მსოფლიო ომში

გურულთა საბრძოლო ტრადიციები კიდევ უფრო ამაღლდა მეორე მსოფლიო ომში. 1941 წლისათვის ოზურგეთში 45 000 ათასი კაცი ცხოვრობდა სხვადასხვა ფრონტზე იბრძოდა 11658 ოზურგეთელი. ბრძოლის ველზე დაიღუპა 6395 კაცი, 7655 მებრძოლი დაჯილდოვებული იქნა ორდენებითა და მედლებით. ომში წარმოდგენილი იყო გენერალთა მთელი პლეადა, რომლებმაც მამაცობით გამოიჩინეს თავი. ამას მოწმობს გმირთა სახელები: კონსტანტინე ლესელიძე, პორფილე ჩანჩიბაძე, ვიქტორ ლესელიძე, სერგო ჩხაიძე, ვასილ კვაჭანტირაძე, ელისე ტუღუში.

გენერალ-პოლკოვნიკი პორფილე ჩანჩიბაძე

გენერალ-ლეიტენანტი მიხეილ ღლონტი

გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე

გამოჩენილი მხედართმთავარი გენერალ–პოლკოვნიკი კონსტანტინე ლესელიძე ხელმძღვანელობდა 46, 47 და მე–18 არმიებს. მონაწილეობდა თავდაცვით ბრძოლებში მინსკთან, ბრიანსკთან, შეტევით ოპერაციებში მოსკოვთან, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კავკასიის დაცვა. მან ფეხით მოიარა მარუხისა და ქლუხორი უღელტეხილები. ნოვოროსიისკისა და ტამანის პლაცდარმის აღება ნიშნავდა მისი მხედრული ნიჭის გაფურჩქვნას. კიევის გათავისუფლების შემეგ იყო ჟიტომირ–ბერდიჩევის შეტევითი ოპერაცია. ამ დროს გახდა ავად. დიაგნოზი – ტრომბობლეფიტი. საჭირო გახდა ფეხების ამპუტაცია, გენერალმა სასტიკად იუარა. მისი სიტყვები იყო: „უფეხო ჯარისკაცი ჯარისკაცი აღარ არის“ გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა 41 წლის ასაკში 1944 2 თებერვალს. დასაფლავებულია თბილისში. გმირის წოდება მიენიჭა 1971 წელს.

საბჭოთა კავშირის გმირი ვიქტორ ლესელიძე

ოთხი ძმა ლესელიძე იბრძოდა ფრონტზე. აქედან მხოლოდ დავითი დაუბრუნდა მშობლიურ კერას. მეორე ძმა ვიქტორი იბრძოდა თეთრფინელების წინააღმდეგ გმირულად დაიღუპა მდინარე ვიდლიცასთან. სიკვდილის შემდეგ მიენიჭა გმირის წოდება. ორი გმირი ერთი ოჯახიდან – სულ ასეთი 11 ოჯახია ცნობილი.

პორფილე ჩანჩიბაძე გენერალ–-პოლკოვნიკი. მისმა დივიზიამ ბრძოლით განვლო სტალინგრადისა და როსტოვის ოლქები, საპუნგორა, ევპატორია. მალე დაინიშნა მეორე არმიის სარდლად. მისი ხელმძღვანელობით გადამწყვეტი ბრძოლები მიმდინარეობდა კენისბერგის აღებისათვის. გენერალ–მაიორის წოდება მიანიჭეს 1945 წლის 2 ივლისს. გმირის წოდება მიენიჭა 1945 წლის 19 აპრილს. გარდაიცვალა 1950 წელს მოსკოვში.

ელისე ტუღუში იბრძოდა კავკასიისა და ბელორუსიის ფრონტებზე. მდინარე ოდერის გადალახვის დროს გამოენილი მამაცობისათვის მიენიჭა გმირის წოდება.


საბჭოთა კავშირის გმირი სერგო ჩხაიძე

იბრძოდა კავკასიისა და ქლუხორის უღელტეხილის დაცვისათვის. სევასტოპოლის საერიშო შეტევაში გამოჩენილი მამაცობისათვის გმირის წოდება მიანიჭეს.

გურიანთელთა სნაიპერმა ვასილ კვაჭანტირაძემ 584 ფაშისტი გაანადგურა. რამდენჯერმე დაიჭრა. მოიშუშებდა თუ არა იარებს ისევ ფრონტზე ბრუნდებოდა, დაჯილდოვებული იყო ოქროს მოჭედილი სნაიპერის თოფით, 1944 წელს მიენიჭა გმირის საპატიო წოდება.


საბჭოთა კავშირის გმირი ვასილ კვაჭანტირაძე

გენერალ–მაიორ მიხეილ ღლონტის გვარდიული კორპუსი მამაცურად იბრძოდა ძაუჯიკავოსთან, მონაწილეობდა ყუბანისა და ტამანის განთავისუფლებაში. მონაწილეობდა შეტევით ოპერაციებში აღმოსავლეთ პრუსიაში. მიღებული ჰქონდა მთავრობის მაღალი ჯილდოები.

ლავრეტი გოლიაძე ავიაციის გენერალ–მაიორი დაიბადა სოფელ მაკვანეთში. იგი იყო მტრის ობიექტებისა და ჰაეროდრომების დაბობვის ოსტატი. ფრონტიდან სოფელში მამას წერდა: „ჩემი ჯავრი არ გქონდეს, მე იქ ვარ, სადაც სამშობლო მოითხოვს მამაჩემო, ჯერ ისეთი გერმანელი არ დაბადებულა, ჩემი მოკვლა შეეძლოს, შენი ორდენოსანი შვილი არ გიღალატებს“ იყო 11 ორდენისა და 10 მედლის კავალერი ავიაციის გენერალ –მაიორის წოდება მიენიჭა 1958 წელს. გარდაიცვალა 1973 წელს.

გენერალ-მაიორი ლავრენტი გოლიაძე

სამგზის დიდების ორდენოსანი ნოე დუმბაძე

მოსკოვის დამცველთა რიგებში იბრძოდა პოდპოლკოვნიკი ანტონ ნაკაშიძე, იგი ხელმძღვანელობდა საზენიტო დივიზიას, რომელმაც ბევრჯერ ჩაშალა მტრის მზაკვრული გეგმები შეჭრილიყო მოსკოვში.

მოსკოვთან და ფრონტის სხვასხვა უბნებზე იბრძოდნენ ოზურგეთის საამაყო შვილები: გრიგოლ წიტაიშვილი, ილია მითაიშვილი, შოთა ცისკარიძე და სხვები

მტრის ზურგში ბელორუსიაში ვიტებსკის ოლქში დიდ პარტიზანულ ბრიგადას ხელმძღვანელობდა ვლადიმერ თალაკვაძე.

მის ბრიგადაში 2000–მდე პარტიზანი იბრძოდა და ოთხმოცამდე დიდი ოპერაცია განახორციელა.

იტალიაში იმ პარტიზანულ შენაერთში, რომელსაც მუსოლინის დაპატიმრება დაევალა ერთ-ერთ რაზმს ხელმძღვანელობდა სილაურელი კოტე ლეჟავა.

ლენინგრადის ბრძოლების შემტევ ნაწილში მეკავშირეთ ირიცხებოდა ლიხაურელი დანიელ თოიძე. ერთერთი დავალების შესრულების დროს მტრის რაზმს წააწყდა, კავშირის აღდგენას თავი მიანება, მტერი ახლოს მოუშვა და ცეცხლი გაუხსნა. გაოგნებული გერმანელები ადგილზე გაანადგურა. ორიც ტყვედ წამოიყვანა.

საბჭოთა კავშირის გმირი ელისე ტუღუში

ომში სხვადასხვა უბნებზე მამაკაცებთან ერთად იბრძოდნენ ოზურგეთელი მანდილოსნები: ზინა ბედენეიშვილი, თამარ დარჩია, ტატიანა სირაძე, შურა ხინთიბიძე, ნადია დოლიძე, თამარ მახარაძე და სხვები. ექიმები: შოთა მჟავია, მიტუშა თოდრაძე, ნესტორ თოიძე, გერმანე გიგიბერიძე, გიორგი ჯინორია, ტიტე მენაბდე, სერგო აბაშმაძე, ნინა ახალაძე, ლილი ვასაძე, ვენერა ჭანუყვაძე, დარია ბერეჟიანი, მედდა ლილი მიქატაძე და სხვები.

ჩვენმა სახელოვანი წინაპრები, რიგითი ჯარისკაცები თუ გენერლები რწმენით და სიმართლით ემსახურა სამშობლოს. დრომ არ უნდა გაახუნოს მათი სახელები. ნაწილი მათი სახელებისა დაცულია ჩვენს მუზეუმში. ვთხოვთ შესაბამის სამსახურებს სახელოვან მხედართმთავართა ბიუსტები ახლა რომ უმოწყალოდ დევს მუზეუმის მარცხენა ფლიგელის შესასვლელში განათავსონ გმირთა მოედნის მიმდებარე სკვერში და კეთილმოაწყონ, რათა, როგორც ბატონი მერაბ ბერძენიშვილი ამბობს ეს იქნება სიმბოლური სავანე, იმ ვაჟკაცებისა, რომლებმაც სამშობლოსათვის სისხლი გაიღეს.

პარტიზანული ბრიგადის ხელმძღვანელი ვლადიმერ თალაკვაძე

პოლკოვნიკი ა. ნაკაშიძე

მანანა ლომაძე
–ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი

100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“

თომას ნიუკომენი (1663-1729). თომას ნიუკომენმა უზრუნველყო სიმძლავრის წყარო ინდუსტრიული რევოლუციისათვის.

1712 წელს ნიუკომენმა ააწყო ძრავა, რომელიც გამოიყენებოდა მაღაროებიდან წყლის ამოსატუმბად. წუთში მას 120 გალონი წყალი ამოჰქონდა და ასრულებდა 12 ტაქტს 5,5 ცხენის ძალით.

ორთქლის მანქანა, რომელიც ნიუკომენმა გამოიგონა მაღაროებში გამოსაყენებლად, გახდა ერთ-ერთი ქვაკუთხედი ინდუსტრიული რევოლუციისა. ის სწრაფად განავითარეს ისეთმა ინჟინრებმა, როგორებიც იყვნენ ჯეიმს ვაიტი და რიჩარდ ტრევისკი. მათ შექმნეს ორთქლის ლოკოლოტივი, რომელმაც მკვეთრად შეამცირა გემების ცურვის დრო.

დანიელ ფარენჰეიტი (1686-1736). ფერენჰეიტმა 1709 წელს გამოიგონა ალკოჰოლის სრულყოფილი თერმომეტრი. 1714 წელს შექმნა პირველი ვერცხლისწყლიანი თერმომეტრი.

1715 წელს გამოიგონა ტემპერატურის აღმრიცხველი სკალა.

არ არის გასაკვირი, რომ ფერენჰეიტის სკალას მისი შემქმნელის დანიელ ფერენჰეიტის სახელი დაერქვა.

ფერენჰეიტმა გამოიყენა თავისი მინის საბერები თერმომეტრის შესაქმნელად და დაასკვნა, რომ დუღილის წერტილები სხვადასხვა სითხეში ატმოსფერული წნევის შედეგად იცვლება. ნაკლები წნევისას წყლის დუღილის ტემპერატურა უფრო და-



ბალია – საყურადღებო ფაქტია მათთვის, ვისაც სურს ჩაის ადუღება დიდ სიმაღლეზე.

ბენჯამინ ფრანკლინი (1706-1790). 1752 წელი – „ცნობილი“ ფრანის გაშვება ჭექა-ქუხილის დროს. 1776 წელს იყო ერთ-ერთი იმ 5 ადამიანიდან, რომლებმაც ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია მიიღეს.

მან დააფუძნა პირველი საჯარო ბიბლიოთეკები, ისევე, როგორც პირველი უნივერსიტეტები. მის მემკვიდრეობას განეკუთვნება: რკინის ღუმელი, „ფრანკლინის“ ღუმელი (რასაც დღესაც ვიყენებთ); ორლინზიანი სათვალე, ქუჩის ლამპიონი, საქანელა-სავარძელი, ოდომეტრი, წყალგაუმტარი ტიხრები გემებისათვის. ფრანკლინი იყო პირველი, ვინც დახაზა გოლფსტრიმის მიმართულება (თბილი დინება ატლანტის ოკეანეში, მექსიკის ყურიდან ჩრდილო აღმოსავლეთის მიმართულებით), იყო წარმატებული გამომგონებელი, პოლიტიკოსი, მბეჭდავი, ოკეანოგრაფი, ელჩი, ჟურნალისტი, სატირიკოსი, მეცნიერი.

ის ნამდვილად ცხოვრობდა თავისი ციტატის მიხედვით „თუ არ გინდა დაგივიწყონ, როდესაც მოკვდები, წერე ისე, რომ ღირდეს წაკითხვა ან აკეთე საქმეები, რომელიც დაწერად ღირს“.

ჟოზეფ ბლეკი (1728-1799). ბლეკი იყო პირველი, ვინც

მთლიანად შეისწავლა და განსაზღვრა ნახშირბადის დიოქსიდის შემადგენლობა და თანამედროვე ქიმიას მნიშვნელოვანი საფუძველი ჩაუყარა.

მეცნიერმა აღმოაჩინა კონცეფცია, რომელსაც ეწოდა „ლატენტური სითბო“, ანუ სხეულის შესაძლებლობა სითბოს შთანთქმისა, მისი ტემპერატურის აუცილებელი ცვლილების გარეშე ამ პრინციპის საუკეთესო მაგალითია ყინულის ტრანსფორმაცია წყლად ნულ გრადუსზე, რასაც სითბო სჭირდება, ასევე გამოიგონა სითბოს საზომი ხელსაწყო, რომელსაც ჰქვია კალორიმეტრი.

სკანვორდი



წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – კერკ დუგლასი; აუღებელი დარტყმის მოგერიება – სეივი; ფუტკრის ოჯახი – სკა; მეფის საკუთრება – სეფე; კაცის ინგლისური წამოსასხამი – ჰაველოკი; სისხლის აღება – ვენდეტა; ქალაქი რაჭაში – ონი; ქალის საცხენოსნო კაბა – ამაზონი; ისლანდიის დედაქალაქი – რეიკიავიკი; ქალის სახელი - ანი; კეთილი უბანი თბილისში – ვარკეთილი; მინერალური სასუქი – აზოტი; ... და იბატონე – გათიშე; მსახიობი ... ფრეინდლიხი – ალისა; უძველესი სამკურნალო მცენარე – ნიორი; „მუმუს“ პერსონაჟი – გერასიმე; სხვის ბუდეში კვერცხისმდებელი – გუგული; პარაზიტი ჭია – ასკარიდი; ძვირფასბეწვიანი ცხოველი – სიასამური; ქართული ფული – ლარი; რბილი ფეხსაცმელი – ჩუსტი; ღვაწლი – ამაგი; იუდას ხე – არღავა; ფრინველების წრიული ფრენა – ირაო; შეძახილი ცეკვაში – ასსა; გობი – ვარცლი; იზას ავტორი – ბუვიე; ქათმების მუსრის გამვლები – მელია; კბილის რქოვანი გარსი – ემალი; ქალაქი თურქეთში – ართვინი; აცვენილი – ავარა; მდინარე რუსეთში – ობი; რიცხვი – ორი; მგალობელი ფრინველი – ბულბული; ღვინის ქურდების პერსონაჟი – ელიბო; გაზაფხულის ყვავილი – ია; ციტრუსი – ბერგამოტი; სარკინოზი – არაბი; მდინარე ციმბირში – ამური.

გურული ფირალების ცხოვრებიდან

მძლავრობა ავაზაკებისა და კომიტეტისა

დასაწყისი ალიონი №13-18)

ენვერ გოგუაძე

1906 წლის 15 თებერვალს როტმისტრი რაჟანოვი საიდუმლოებით მოცული პატაკის თანახმად, კავკასიის პოლიციის უმაღლეს მმართველობას კვლავ მოახსენებს: გურიაში არსებობს იატაკქვეშა ფარული ორგანიზაციები, სოფელ შემოქმედში, სოფელ გურიანთაში, დაბა ჩოხატაურსა და ქალაქ ოზურგეთში, რომელთა საფუძველზე ჩამოუყალიბებიათ დანაშაულებრივი ორგანიზაცია „გურიის კომიტეტი“ კომიტეტის წევრთა უმრავლესობა იმყოფება არალეგალურ მდგომარეობაში, ქალაქ ბათუმში და შესაბამის ხელმძღვანელობას უწევს მოძრაობას მხარეში. კომიტეტზე დაქვემდებარებულია „საბრძოლო დრუჟინა“ და მისი ბრძანების, ნებისა და სურვილის თანახმად, ასახიერებს ნებისმიერ ტერორისტულ აქტებს, ასვე მოქმედებენ მასზე დაქვემდებარებული აგიტატორები და პროპაგანდისტები. გურიაში მეამბოხე ელემენტების გაჩენა ნაწილობრივ გურიის თავდ-აზნაურთა ლიბერალური ხასიათიდან გამომდინარე, რომლებმაც გახსნეს გურიის სოფლებში სასკოლო დაწესებულებები, ფართოდ გაუღეს სკოლის კარები გლეხის შვილებს და მისცეს მათ შესაძლებლობა სათანადო განათლების მიღებისა. გურიაში დიდი სიმრავლეა საერო და სასულიერო სკოლებისა, გურულები ფიცხი და ტემპერამენტიანი ხალხია. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან კავკასიის სხვა ხალხთა შორის. ფიცხი, ტენპერამენტიანი, განათლებულნი, აგიტატორთა და პროპაგანდისტთა მიერ ამბოხებული ხალხი ხელისუფლებისათვის ფრიდ საშიში. მათ მიერ წაქეზებულმა გლეხებმა - კომიტეტის წამყვანმა ტერორისტებმა დაიწყეს თავდასხმები მემამულეებზე, თავადებსა და აზნაურებზე, წვავდნენ მემამულეთა კარ-მიდამოს, ანადგურებდნენ სიმინდის, ღომის ნათესებს, შინაურ პირუტყვს. მამასახლისები, სტრაჟნიკებისა და მთავრობის ერთგულ მოხელეთა და მოსამსახურეთა მკვლელობები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ტერორის და ძალადობის შიშით გათანგულები ხმის ამოღებას ვეღარ ბედავდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილი სახეზე იყო. მოკლული იქნა რამდენიმე მამასახლისი, ორი ღვთის მსახური, მომრიგებელი შუამავალი თავადი ტიფო ნაკაშიძე, ბოქაული კოსტავა, თუ რომელიმე პოლიციელი, ან მთავრობის მოხელე. ცხოვრობს ამჟამად ოზურგეთის მაზრაში, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ყოველივე მათგანი ასრულებს მხოლოდ იმ დავალებას, რასაც მათგან ითხოვს გურიის კომიტეტი. გურიაში, განსაკუთრებით მიქელ-გაბრიელისა და ჩოხატაურის საზოგადოებაში, როგორც ტოპოგრაფიული თვალსაზრისით, ფრიად ხელსაყრელ გარემოში თავი მოიყარა დეზერტირმა ჯარისკაცებმა და ამჟამად ჩვენთვის დეზერტირ ჯარისკაცთა „მთელის არმია“ წარმოადგენს ჩვენს საწინააღმდეგო ძალზე სერიოზულ ძალას. მიმდინარეობს ნამდვილი სამხედრო სწავლება. გლეხებს ამზადებენ და ავარჯიშებენ იარაღის სროლაში. ქმნიან წითელ რაზმებს, იარაღის ხელში ჩაგდების და შექმნის მიზნით, სიცოცხლეს უსწრაფებენ საერობო დარაჯებსა და თანამდებობის პირებს. მათი მოხელეობა და დაპატიმრება თითქმის შეუძლებელია. დაბეჩავებული საზოგადოება მათი შიშით ენის დაძვრას ვერ ბედავს. ყველაფერს გურიის კომიტეტი განაგებს, ყველაფერს გურიის კომიტეტი განსაზღვრავს. ადმინისტრაცია დაშინებულია. პროპაგანდისტები თავისუფლად დათარეშობენ, მიტინგები უკვე აშკარად ტარდება, დღისით, მზისით. ეწყობა მასობრივი შეკრებები. არ ცნობენ არავითარ სასამართლოს. გარდა საკუთარი მართლმსაჯულებისა. პოლიციელებს წითელრაზმელები ცვლიან, დამნაშავეებს ან სიკვდილით სჯიან თვითნებურად ან მაზრის ფარგლებს გარეთ ასახლებენ, ან უწყობენ ე.წ. ბოიკოტს, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება სასიკვდილო განაჩენს. გენერალ-მაიორ ალიხანოვ-ავარსკის საექსპედიციო კორპუსის მოსვლამ ოზურგეთის მაზრაში მდგომარეობა ნაწილობრივ გამოასწორა, შეპყრობილი იქნა რამდენიმე საშიში ავაზაკი და ამბოხის მოთავე, მაგრამ ეს იყო მხოლოდ დროებით. ზოგი მათგანი ამინისტრებულ იქნა და ისევ ამბოხის ყოფილ მხარეს დაუბრუნდა, ისევ განახლდა პროპაგანდისტთა თარეში, ხელისუფლება კვლავ უმოქმედობას იჩენს.

ა/წ 21 ივლისს ოზურგეთიდან თორმეტიოდე კილომეტრის დაშორებით მდებარე სოფელ ვაკიჯვარში გაიმართა გლეხთა მასობრივი მიტინგი. თავი მოიყარა 6 000 მდე კაცმა. თავყრილობა თითქოს გზების შეკეთების მიზნით იყო მოწყობილი, სინამდვილეში ხელისუფლების საწინააღმდეგო ხასიათს ატარებდა. გამოითქვა თამამი მოსაზრება, „უკვე მოახლოებულია დრო და ჟამი ხელისუფლების დამხობისა. გავანაწილოთ ყოველი მიწის ნაკვეთი გლეხობას შორის. გავაუქმოთ საჯარისო ნაწილები". მსჯელობდნენ ჯავშოსან პოტიომკინზე განსახიერებული ჯანყის შესახებ, ფინეთის, ფეოდოსიის, ვარშავის მცხოვრებთა ამბოხებაზე, ლოძის მოვლენებზე და ქალაქ ტაშკენტში „დაბალი ჩინების“ ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლაზე. დაისახა ღონისძიებანი იარაღის მასობრივი შეგროვების, აჯანყებისათვის მზადების, წითელი რაზმების ფორმირებებისა და ხელისუფლების ერთგულ პირებზე თავდასხმების შესახებ, მათი ფიზიკური ლიკვიდაციის მიზნით. თავყრილობის დასასრულს ნიშნად საბრძოლო მზადყოფნისა ოთხასამდე მეამბოხემ მისცა მასიური ზალპი ცეცხლსასროლი იარაღებიდან, რომელთა შორის ჭარბობდა მაუზერები, მათ შორის შეინიშნებოდა არდაგანისა და სხვა პოლკების ჯარისკაცები თავ-თავიანთი ნაწილებიდან საიდუმლოდ მოვლინებული კრებაზე, მოვიდნენ წითელი დროშებით, დასძახოდნენ რევოლუციურ სიმღერებს. 15 აგვისტოს ასეთივე თავყრილობას ჰქონდა ადგილი სოფელ დვაბზუს წმინდა გიორგის ეკლესიის მახლობლად. ორატორი აქაც ხელისუფლების დამხობისაკენ მოუწოდებდა გლეხობას. მათვე განუმარტავდა თუ როგორ უნდა დასხმოდნენ თავს საჯარისო ნაწილებს, როგორ გაეთხარათ „მგლის ორმოები“ როგორ ჩაედოთ ადგილას ნაღმები, როგორ მოესპოთ „მტრის ცოცხალი ძალა“ მზადყოფნაში აქვთ მიუვალ მთებში მოხუცთა, ბავშვთა, ავადმყოფთა გახიზვნის საჭიროების შემთხვევაში განსაკუთრებული თავშესაფარები. თავყრილობა მრავალრიცხოვანი იყო. გამოირჩეოდა სიმძაფრითა და აქტიურობით. პროპაგანდისტი აუწყებდა შეკრებილ საზოგადოებას, რომ კომიტეტს უკვე მიღებული აქვს სათანადო ზომები. ზემო აჭარის მოსახლეობის ხელისუფლების საწინააღმდეგო ამბოხისათვის. ვაკიჯვრის გზით იგზავნება აქ პროკლამაციები და გამოცდილი აგიტატორები,. გურიასთან ერთად შესაძლებელია მთელი აჭარის ამბოხება ერთსა და იმავე დროს. ამავე დროს შედგა ბახვის საზოგადოების თავყრილობა, სადაც საზოგადოებრიობამ კომიტეტის ნებითა და დასტურით ბოიკოტი გამოუცხადა სოფელ ბახვის მცხოვრებ სილვესტრ ნაკაიძეს და სამუდამოდ განკვეთა იგი მოსახლეობისაგან: ნაკაიძის განკვეთის შემდეგ, რომელსაც სასიკვდილოდ უღერებდენ მუშტებს, განიხილეს პოლიტიკური საკითხები: „სახელმწიფო სათათბიროსა“ და „მანიფესტის“ შესახებ. გამოუცხადდა შეუწყნარებელი ბრძოლა კლასობრივ მტრებს. წინა პლანზე იქნა წამოყენებული „ბოიკოტის“ მეთოდი. „ბოიკოტს“ ენაცვლებოდა ტერორი. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისსტაროსელსკის ქმედებამ კიდევ უფრო გაამძაფრა სიტუაცია. ვერც ალიხანოვ-ავარელის რაზმმა უშველა საქმეს, ავაზაკთა და მკვლელთა მცირე ნაწილი იქნა შეპყრობილი, ნაწილმა მიუვალ მთებს შეაფარა თავი, ხოლო ნაწილი ძირითადი დამნაშავეები ერთმანეთს დაჰყვებოდნენ სოფელ-სოფელ როგორც გურიის სოფლის საზოგადოებისაგან გამოყოფილი შეიარაღებული მცველები, რომლებიც სინამდვილეში კომიტეტის ტერორისტებს წარმოადგენდნენ. კომიტეტის ტერორისტთა საქმიანობას კომიტეტის წინაშე ანგარიშვალდებული „ტერორისტთა უფროსი" სამხედრო შტაბის ხელმძღვანელი განაგებდა. საგანგებიოდ ეძებდნენ გულბოროტ, მესისხლე გავარდნილსა და კაცისმკვლელ „თავზეხელაღებულებს“,

(გაგრძელება იქნება)

„მერცხალმა“ დაძაბულ ბრძოლაში მოიპოვა სამი ქულა

საქართველოს ჩემპიონატის (პირველი ლიგა „ბ“ ჯგუფი) ფინიშზე ოზურგეთის „მერცხალმა“ უშუალო კონკურენტს, „ალგეთს“ უმასპინძლა.

32 ტურის შემდეგ „მერცხალს“ 39 ქულა ჰქონდა, ხოლო „ალგეთს“-38, თუმცა „ალგეთს“ ერთი შეხვედრით ნაკლები აქვს ნათამაშევი.

„ალგეთის“ შემადგენლობაში სამი ნიგერიელი ფეხბურთელი გამოდიოდა, რომლებიც „მერცხალის“ შეტევებს განვითარების საშუალებას არ აძლევდნენ. პირველ ტაიმში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, ორთავე გუნდის შეტევები საჯარიმოების მისადგომებთან უშედეგოდ მთავრდებოდა.

მეორე ტაიმში მდგომარეობა დაიძაბა. საგოლე მომენტები შეექმნათ ორთავე გუნდის ფეხბურთელებს. ოზურგეთლებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა უგრეხელიძე, რომელმაც ორჯერ სახიფათოდ დაარტყა. ერთადერთი გოლი, მსაჯის მიერ კონპირებულ დროში გაიტანეს მასპინძლებმა. უგრეხელიძემ ერთ-ერთი სახიფათო იერიში გოლით დააგვირგვინა. ამ ტურში „მერცხალის“ კიდევ ერთმა კონკურენტების „მეშახტისა“ და „სქურის“ შეხვედრა ფრედ-2: 2 დამთავრდა. ახლა „მერცხალს“ 42 ქულა აქვს; „მეშახტეს“-41; „სქურს“ 40... ჩემპიონატის დასრულებამდე 3 ტური რჩება.

„მერცხალი“ „ალგეთთან“ მატჩში ამ შემადგენლობით გამოდიოდა: მაღრაძე, ქარჩილაძე, აფხაზავა, ქურდაძე, ბაქრაძე, ჩიგოგიძე, უგრეხელიძე, ღლონტი, ჭკუასელი, ჯაყელი (ჯოჯიშვილი), კვერენჩხილაძე.

ოზურგეთელი მოფარიკაველების კიდევ ერთი წინ გადადგული ნაბიჯი

1-3 მაისს ქალაქ თბილისში, ნუგზარ ასათიანის საფარიკაო დარბაზში უკვე მეხუთედ გაიმართა აფხაზეთის ღია პირველობა 2001-2002 და 2003-2004 დაბადებულ გოგონებსა და ვაჟებს შორის, სადაც საქართველოს ქალაქების გარდა, მონაწილეობდა სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილო ოსეთის და ქუვეითის ნაკრები გუნდები.

ოზურგეთიდან შეჯიბრებაზე ორი გოგონა და ორი ვაჟი გაემგზავრა.. კარგი შედეგი აჩვენა დებიუტანტმა, შრომის საჯარო სკოლის V კლასის მოსწავლემ ინა ჩიქოვანმა, რომელმაც III საპრიზო ადგილი დაიკავა თორმეტ მონაწილეს შორის. ინამ მხოლოდ ერთი ჩხვლეტით დათმო ნახევარფინალური შეხვედრა 2003 წელს დაბადებულ ალა კოკოევასთან (ჩრდილო ოსეთი).

ქართველთაგან ვაჟებში მესამე შედეგი აჩვენა ნოდარ ივანაძემ (2002 წ. შრომა, ეკალდიდი), იგი მე-11 იყო 18 მონაწილეს შორის.

შემოქმედის საჯარო სკოლის საუკეთესო შემოქმედი მოსწავლეები

თემურ მარშანიშვილი

არ მეგულება საქართველოში მეორე ისეთი სოფელი, როგორიც შემოქმედია: უნიკალური რელიეფი, მდიდარი ფლორა და ფაუნა, ზომიერი კლიმატი და, რაც მთავარია, ნიჭიერებითა და პიროვნულობით გამორჩეული ხალხი – დიდი თუ პატარა, ჩინიანი თუ უჩინო.

გასულ ორშაბათს, 4 მაისს აკაკი სურგულაძის სახელობის შემოქმედის საჯარო სკოლის ცოცხალმა სამკუთხედმა (მოსწავლე, პედაგოგი, მშობელი) კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი შემატა მშობლიური სოფლის სახელოვან ისტორიას.

ქართული ენის მეორე სასკოლო ოლიმპიადა, საქართველოს მგოსნის აკაკი წერეთლის დაბადების 175-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კედლის გაზეთების კონკურსი და ღია გაკვეთილი (იდეის ავტორები, სკოლის დირექტორი, ქალბატონი ნინო სადრაძე და დირექტორის მოადგილე, ქალბატონი ნუნუ კერესელიძე) გაცდა სკოლის შენობისა და ეზოს ფარგლებს და მთელი სოფლის დღესასწაულად იქცა.

„ძალიან დიდ კმაყოფილებას ვერ გამოვხატავ, მე უფრო მაღალ შედეგს მოველოდი, განსაკუთრებით კედლის გაზეთსა და გრამატიკაში“. – თქვა ღონისძიების მიმდინარეობისას სკოლის დირექტორმა.

თავისი სკოლისა და ბავშვების შესაძლებლობები ქალბატონმა ნინომ, რა თქმა უნდა, უკეთ იცის, მაგრამ, რაც იმ დღეს მოსწავლეებმა წარმოადგინეს, იმას, ჩვენი აზრით, წუნი არ მოეძებნებოდა. ამიტომ, ეს სიტყვები სკოლის დირექტორს, ალბათ, უფრო დამსწრე საზოგადოებისადმი მორიდებულობამ ათქმევინა.

შინაარსობრივად მრავალფეროვან ამ სანახაობაში შეჯიბრიც იყო და გულშემატკივრობაც, დებიუტიც და წრთობაც, ემოციაც და სიდინჯეც, იმპროვიზაციაც და აკადემიურობაც, ლექსიც და ჰარმონიაც, რასაკვირველია, ურთიერთპატივისცემაც და სიყვარულიც. მოკლედ, ეს იყო ზეიმი, თანაც ისეთი, რომ არ გინდა, მალე დამთავრდეს. მსგავსი ზეიმიდან, უმეტეს შემთხვევაში, ფეხათრევით გამოდის კაცი.

ძნელია ვინმეს ცალკეულად გამოყოფა. ასეთ სიტუაციაში უფრო, ალბათ, არ ვიქნებით მართალი, რომ რომელიმე მათგანი გამოგვრჩეს. ამიტომ, მკითხველ საზოგადოებას სიამოვნებით გავაცნობთ ამ დღის გმირებს. დავიწყოთ ქართული ენის მეორე სასკოლო ოლიმპიადით:

ნომინაცია გამორჩეული გრამატიკოსი

მესამე კლასი (კლასის ხელმძღვანელი მანანა მექვაბიშვილი): მარიამ სადრაძე, გიორგი ვასაძე, ამირან ონიანი, საბა სალუქვაძე, გიგა ხომერიკი.

მეოთხე კლასი (ხელმძღვანელი თინა გოგელია): თამარ ონიანი.

მეხუთე კლასი (ხელმძღვანელი მაია მენაბდე): მეგი მეგრელაძე, სალომე ჩიტაიშვილი, მარი სირაძე, ანა ერქომაიშვილი, სოფო ურუშაძე, გიორგი ჩხატარაშვილი.

მეექვსე კლასი (ხელმძღვანელი ქეთევან ჟღენტი): მარიამ ვაშალომიძე, ნინო სალუქვაძე, მარიამ ჩხატარაშვილი, ქეთი გორგაძე.

ნომინაცია გამორჩეული კალიგრაფი

პირველი კლასი (ხელმძღვანელი ქეთევან კრავეიშვილი): ელენე გორგაძე, ანა ერქომაიშვილი, ანა კაჭახიძე.

მეორე კლასი (ხელმძღვანელი გულნაზი კალანდაძე): ნანა სტურუა, საბა გიგიბერიძე,

ნომინაცია საუკეთესო დეკლამატორი

პირველი კლასი (ხელმძღვანელი ქეთევან კრავეიშვილი): ანა კაჭახიძე, ელენე გორგაძე.

მეორე კლასი (ხელმძღვანელი ანელი გულნაზი კალანდაძე): საბა გიგიბერიძე, ბაია ბურჭულაძე.

მესამე კლასი (ხელმძღვანელი მანანა მექვაბიშვილი): მარიამ სადრაძე, გიორგი ვასაძე, საბა სალუქვაძე, გიორგი ჭანუყვაძე.

მეექვსე კლასი (ხელმძღვანელი ქეთევან ჟღენტი): მარიამ ჩხატარაშვილი, ნინო სალუქვაძე.

ღია გაკვეთილში მონაწილეთაგან ყველაზე ორიგინალური აზროვნებისა აღმოჩნდა XI კლასის მოსწავლე დავით ნიკოლაიშვილი.

კვირეულში მონაწილეობისათვის, როგორც საუკეთესონი, დაჯილდოვდნენ – IX კლასი და კლასის ხელმძღვანელი თამარ ეზიეშვილი, VII კლასი და კლასის ხელმძღვანელი მარინა მუკბანიანი.

შემოქმედებითად მაღალი დონე აჩვენეს **საკონკურსო ესეში – „ბოდიშის მოხდა ერთ-ერთი საუკეთესო ღირსებათაგანია ადამიანისა“.** კონკურსს შემოქმედის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე, ქალბატონი ნათელა ვაშალომიძე ხელმძღვანელობდა. ჟიურის გადაწყვეტილებით, საუკეთესოდ ცნეს XI კლასის, მოსწავლის დავით ნიკოლაიშვილის თხზულება, მეორე იყო IX კლასის მოსწავლის მარიამ პეშკოვის, ხოლო მესამე – XI კლასის მოსწავლის მაკა მამალაძის ნაშრომები.

შეთანხმებისამებრ, ეს საუკეთესო ნაშრომები გამოქვეყნდება გაზეთ „ალიონში“.

აკაკი წერეთლის იუბილისადმი მიძღვნილ საუკეთესო გაზეთად ცნეს მეშვიდე კლასის მიერ მომზადებული კედლის გაზეთი (რედაქტორი დარინა ზოიძე, მხატვარი ლაზარე ერქომაიშვილი, კლასის ხელმძღვანელი ნინო დუმბაძე), საუკეთესო ნახატად – X კლასის მოსწავლის ნონა დუმბაძის ნამუშევარი „გიმნაზიაში“.

ღონისძიების ერთგვარი კულმინაცია გახლდათ აკაკი წერეთლის ფრთიანი გამოთქმებით დახუნძლულ, ბუტაფორიულ ხესთან მოსწავლეთა მიახლება. ვერ გეტვით, ვის რა ფრაზა ერგო, იმის თქმა კი ნამდვილად შეგვიძლია, რომ ეს ხე რამდენიმე წუთში ბოლომდე „გაიძარცვა“ და ეს „ნაძარცვი“ ძვირფას რელიქვიად დაივანებს შემოქმედელი მოსწავლეების სახლებში.

და ბოლოს, ცოტა უცნაური, უფრო მეტად კი დასაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ღონისძიებაზე დამსწრე ამდენ მშობელში ერთადერთი მამაკაცი ჩანდა. უღირდა, ალბათ, ბატონ ზაზა სალუქვაძეს, რადგანაც მისმა შვილმა საბა სალუქვაძემ ორ ნომინაციაში ისახელა თავი. კარგი იქნება, თუ სხვა მამაკაცი მშობლებიც სწავლასა და სასკოლო ღონისძიებებში უგულშემატკივრებენ თავიანთ შვილებს.

დიდი მეიარაღენი



ჯონ ბრაუნინგი (1855-1926)

დაიბადა იარაღის მოვაჭრის ოჯახში(gden, Utah, აშშ.). პირველი თანამშრომლობა უკავშირდება ვინჩესტერის კომპანიას. მისი სტიქია იარაღის შექმნა იყო და არა წარმოება, ამიტომ უამრავი მისი მოდელის პატენტი მიჰყიდა ვინჩესტერს (1885-1901 წლის მოდელები მისი შექმნილია). მან შექმნა ნახევრადავტომატური, პომპიანი და .22 კარაბინის მოდელები. ასევე ცნობილი **BAR (Browning Automatic Rifle)** და კოლტის 1911 წლის .45 კალიბრის სტილის ავტომატური პისტოლეტი. განსაკუთრებით წარმატებული იყო ავტომატური იარაღის შექმნის თვალსაზრისით (ცნობილი **auto-5**). მისი დიზაინითაა შექმნილი მრავალი საბრძოლო იარაღი და სხვადასხვა კალიბრის ვაზნა. მისი სახელობის კომპანია შეიქმნა 1927 წელს.

მუდმივად თანამშრომლობდა **Fabrique Nationale** -თან (ბელგია), სადაც ლიეჟში, ავტომატურ პისტოლეტის მოდელზე მუშაობისას, მისი შვილის ოფისში გარდაიცვალა გულის შეტევით.

ჯონ დილი (1825-1913ᲬᲬ)

ჯონ დილი დაიბადა 1825 წელს. სკოლაში ძალიან კარგად სწავლობდა, მთელ თავისუფალ დროს წიგნებთან ატარებდა და სხვადასხვა სფეროში საკმაოდ კარგი ცოდნა მიიღო. 35 წლის ასაკში ჯონი კომპანია „ვესტლი რიჩარდსში" მოვიდა საფინანსო-კომერციულ განყოფილებაში. ამ ფირმაში საფინანსო საკითხების დალაგების შემდეგ იარაღის დამზადებით დაინტერესდა. მალე ის ბირმინჰემის ერთ-ერთ ყველაზე ცნობად მეიარაღედ ჩამოყალიბდა.

1873 წელს დილიმ ჯეიმს ეჯისთან ერთად გამოიგონა ტიბჟირის საკეტის ორიგინალური სისტემა, რომელიც დღესაც წარმატებით გამოიყენება.

1875 წლის 11 მაისს ჯონ დილიმ და უილიამ ენსონმა მიიღეს პატენტი 1756 ორლულიანზე ბოქსლოკის საკეტებით, რომელიც „ენსონ-დილის" სახელითაა ცნობილი. ასე დაიწყო მარტივი და საიმედო საკეტების ახალი ერა.

1886 წელს დაპატენტდა კიდევ ერთი გამოგონება– ეჟექტორი. მართალია გამოგონება შვილ-დილის ეკუთვნოდა, თუმცა წარმოებაში ეს გამოგონება მამა-დილიმ ჩაუშვა. ეჟექტორის მუშაობის პრინციპი დღემდე შეუცვლელია თოფებში ლულათა ჰორიზონტალური წყობით, მიუხედავად იმისა, სადაურია იარაღი – ბრიტანული, ბელგიური, გერმანული ან ნებისმიერი სხვა ქვეყნის.

1897 წელს დილიმ და ლესლი ტეილორმა აიღეს პატენტი 17731, ბოქსლოკზე, რომელიც ხელით შეიძლებოდა დაშლილიყო (**detachable lock**). ამ გამოგონებამაც დღემდე შეუცვლელად მოაღწია.

ჯონ დილი არა მარტო დიდი მეიარაღე, არამედ კარგი ორგანიზატორიც გახლდათ. მისი ხელმძღვანელობით **Westley Richards & Co** გავიდა(ბრიტანული ტაბელის მიხედვით) მესამე პოზიციაზე პერდესა და ჰოლანდის შემდეგ. ამ კომპანიაში მუშაობის პერიოდში დილიმ მიიღო 30 პატენტზე მეტი(აქედან 4-მა მისი სახელი სიცოცხლეშივე უკვდავყო).

ჯონ დილი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მეიარაღეა ბრიტანეთის ისტორიაში.

ჯონ დილი გარდაიცვალა 1913 წელს.

მოამზადა
გელა ჩავლეშვილმა

(გაგრძელება იქნება)

7 დღის ამინდის პროგნოზი

11 მაისი – წვიმა, +10+15 – ორშაბათი

12 მაისი – წვიმა, +10+14 – სამშაბათი

13 მაისი – მზე, ღრუბელი +9+14 – ოთხშაბათი

14 მაისი – წვიმა, +11+17 – ხუთშაბათი

15 მაისი – მზე, ღრუბელი +13+20 – პარასკევი

16 მაისი – ელ-ჭექი, +14+21 – შაბათი

17 მაისი – მზე, ღრუბელი +13+18 – კვირა